გორეჯის მაცნე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №9-10(311-312) 2024 წ. 1-31 მაისი ფასი 2 ლარი

ფაშიზმზე გამარჯვებიდან 79 წელი გავიდა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა **ავთანდილ გულიკაშვილმა**, კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულთან **გიორგი ალადაშვილთან** და საკრებულოს თავმჯდომარე, **ალექსი გილაშვილთან** ერთად, პატარძეულში გმირთა სავანე ყვავილებით შეამკო და მსოფლიო ომში დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგო.

"გილოცავთ ფაშიზმზე გამარჯვების დღეს!

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტი განვახორციელეთ სოფელ პატარძეულში - გმირთა სავანის რეაბილიტაცია. მოდერნიზებული, ახალი მოსასვენებელი სივრცე ნებისმიერი ვიზიტორისთვის ერთ-ერთ შთამბეჭდავ და დასამახსოვრებელ ადგილად იქცევა. პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან 884 000 ლარით დაფინანსდა. მოეწყო საბავშვო ატრაქციონები, საფეხმავლო ბილიკები, მოსასვენებელი სკვერი და გადმოსახედი. რეაბილიტაცია ჩაუტარდა მეორე მსოფლიო ომში დაღუპული გმირების მემორიალს და დღეს, 9 მაისს, სიმბოლურად ფაშიზმზე გამარჯვების დღეს საზეიმოდ გავხსენით." - განაცხადა **ავთანდილ გულიკაშვილმა.**

გილოცავთ სკოლის დამთავრებას!

ჩვენი მუნიციპალიტეტის ყველა სკოლის - დამამთავრებელი კურსის მოსწავლეს ვულოცავ 2023-24 სასწავლო წლის დასრულებას.

ვუსურვებ ცხოვრების ახალ ეტაპზე წინსვლასა და წარმატებას.

მიხარია, რომ ბევრი წარმატებული მოსწავლე გვყავს და ჩვენს იმედებს ნამდვილად გაამართლებენ.

ბედნიერი მომავალი და ნათელი გზა მისურვებია ჩემო ახალგაზრდებო!

ავთანდილ გულიკაშვილი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი

სახალხო დღესასწაული „გიორგობა“

სოფელ გიორგიწმინდაში 18 მაისს სახალხო დღესასწაული „გიორგობა“ აღინიშნა, რომელიც ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის* ავთანდილ გულიკაშვილის** ინიციატივით გასულ წელს იქნა აღდგენილი.

ღონისძიების ფარგლებში, არსენ მეკოკიშვილის სახელობის ტურნირი მოეწყო ჭიდაობაში, წარმოდგენილი იყო ხელნაკეთი ნივთების საგამოფენო სივრცეები.

საკონცერტო ნომრებს მოწვეული მომღერალი გიორგი შალვაშვილი, ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლები და სოლო შემსრულებლები ასრულებდნენ.

გაიმართა დაჯილდოება სოფლის ღირსეული და წარმატებული მოქალაქეების, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს გიორგიწმინდის განვითარების საქმეში.

ღონისძიებას მუნიციპალიტეტის მერთან - **ავთანდილ გულიკაშვილთან** ერთად პარლამენტის წევრი **დავით სონღულაშვილი**, საკრებულოს თავმჯდომარე **ალექსი გილაშვილი** და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ქეთი გრატიაშვილი,

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პრესსპიკერი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა

26 აპრილი, 2024 წელი

***საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომას ამავე საკრებულოს თავმჯდომარე ალექსი ბილაშვილი უძღვებოდა.*

დღის წესრიგის გაცნობისა და კენჭისყრის შემდეგ სხდომის დღის წესრიგის პირველ საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ მოხსენება გააკეთა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარების განყოფილების უფროსმა **მარინე თედიაშვილმა..**

დღის წესრიგის მეორე საკითხზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ“ მოხსენება გააკეთა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარების განყოფილების უფროსმა **მარინე თედიაშვილმა.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა:

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მომზადებულია მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებიდან და მერიის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირებიდან მოწოდებული ინფორმაციის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 87-ე მუხლის გათვალისწინებით.

I ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლების შესრულება

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობების და ნაშთის ცვლილების გეგმა, აგრეთვე გადასახდელების გეგმა განისაზღვრა 65375.627 ლარით, ანუ დამტკიცებულთან 26827.900 ლართან შედარებით 38547.727 ლარით (144 %) გაიზარდა, ***ბიუჯეტში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:*** სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან საგარეჯოს მუნიციპალიტეტს გამოეყო 8813,330 ლარი, მათ შორის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 6553,877 ლარი, „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში 668.000 ლარი, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებისთვის 305,880 ლარი, მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან 664.142 ლარი, საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფისთვის 621,431 ლარი, საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე გაიზარდა 8159.069 ლარით, მათ შორის: საქართველოს მთავრობის მიერ საგარეჯოს მუნიციპალიტეტს ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით გამოეყო კაპიტალური გრანტი 570.000 ლარით, საკასო შემოსავლების მიხედვით არაფინანსური აქტივების კლების მუხლი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვიდან შემოსული 7263.169 ლარით, მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები დამატებული ღირებულების გადასახადიდან 325.900 ლარით, წინა წლის ნაშთიდან განაწილდა სულ 21575,328 ლარი, მათ შორის სახელმწიფო ფონდებიდან 2629,436 ლარი, საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე 18945,892 ლარი. ნაშთი წლის დასაწყისისთვის შეადგენდა 21577,540 ლარს, 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 19397,463 ლარს. მათ შორის 15827,338 ლარი ვალდებულებებია, 3570,125 ლარი თავისუფალია. ნამეტი შემოსავალია: გადასახადებიდან 1353,587 ლარი, სხვა შემოსავლებიდან 1743,673 ლარი, არაფინანსური აქტივების კლებიდან 472,895 ლარი.

ბიუჯეტის ბალანსი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ასეთია:

მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა 43800.300 ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 47157.392 ათასი ლარი, ანუ გეგმის 108 %.

ბიუჯეტის შემოსავლების სახით შემოსულია 39317,328 ლარი, გეგმის (36433,130 ლარი) 108 %. მათ შორის:

1) გადასახდების სახით შემოსულია 25734,388 ლარი, გეგმის 24380,800 ლარის 106 %, აქედან ქონების გადასახადი შემოვიდა 6133,404 ლარი, გეგმის 4750,000 ლარის 129 %, გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე ანუ დამატებითი ღირებულების გადასახადი შემოვიდა 19600,984 ლარი გეგმის 100 % ;

2) გრანტების სახით მიღებულია 9575,267 ლარი, გეგმის 9788,330 ლარის 98 %; მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 405,000 ლარი, ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით მიღებული კაპიტალური გრანტი 570,000 ლარი, 2023 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 6553,871 ლარი; „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში 668,000 ლარი; სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებისთვის 236.988 ლარი, მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან 664.139 ლარი, საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო 3) სხვა შემოსავლების სახით შემოსულია 4007,673 ლარი, გეგმის 2264,000 ლარის 177 %; მათ შორის: შემოსავალი პროცენტებიდან 1965,721 ლარი (გეგმის 600,000 ლარის 328 %); რენტა 847,910 ლარი (გეგმის 560,000 ლარის 151 %); საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია 167,636 ლარი (გეგმის 104,000 ლარის 161 %); სანქციები, ჯარიმები და საურავები 854,472 ლარი (გეგმის 550,000 ლარის 155 %); შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 171,934 ლარი გეგმის 450,000 ლარის 38 %;

არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსულია 7840,064 ლარი, გეგმის 7367,169 ლარის 106 %.

საგასავლო ნაწილი შესრულდა 49 337,534 ლარით გეგმის 65 375,627 ლარის 75 %;

მათ შორის: საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე შესრულდა 73 %-ით (გეგმა 53527,861 ლარი, ფაქტი 39206,463 ლარი); სხვა დონის ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი ტრანსფერი შესრულდა 95 %-ით (გეგმა 405,000 ლარი, ფაქტი 385,152 ლარი); სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი შესრულდა 85 %-ით (გეგმა 11442,766 ლარი, ფაქტი 9745,919 ლარი).

მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით ასეთია:

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელების მაჩვენებლები ასეთია: შრომის ანაზღაურებაზე გახარჯულია 4085,263 ლარი გეგმის 100 %; საქონელი და მომსახურების ხარჯმა შეადგინა 7053,818 ლარი გეგმის 7810,660 ლარის 90 %; პროცენტის ხარჯმა შეადგინა 19,463 ლარი გეგმის 100 %; სუბსიდიების ხარჯმა შეადგინა 10855,648 ლარი გეგმის 11299,723 ლარის 96 %; გრანტების 232,983 ლარი გეგმის 100 %; სოციალური უზრუნველყოფა დაფინანსდა 1395,595 ლარით გეგმის 1511,519 ლარის 92 %; სხვა ხარჯებმა შეადგინა 4091,569 ლარი გეგმის 5659,672 ლარის 72 %; არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი დაფინანსდა 21549,924 ლარით, გეგმის 34698,785 ლარის 62 %–ით; ვალდებულებების კლება 53,270 ლარით გეგმის 100 %.

II მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების შესრულება

ასიგნებების შესრულება ბიუჯეტის პრიორიტეტების, პროგრამების და ქვეპროგრამების მიხედვით ასეთია:

ინფრასტრუქტურის განვითარება

დამტკიცებული გეგმა გაიზარდა სულ 26046,064 ლარით, სახელმწიფო ფონდებიდან დაემატა 9556,437 ლარი: მათ შორის გასული წლის ნაშთიდან 2105,854 ლარი, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის №2475 განკარგულებით 6231,376 ლარი, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით 2023 წლის 20 იანვრის №116 განკარგულებით 305,880 ლარი, მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან 2023 წლის 9 თებერვლის №301 განკარგულებით 245,327 ლარი, „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში 2022 წლის 29 დეკემბრის 2476 განკარგულებით 668,000 ლარი; საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე 16489,627 ლარი: მათ შორის ადგილობრივი ბიუჯეტის გასული წლის ნაშთიდან 11272,796 ლარი, საკასო შემოსავლების მიხედვით გაზრდილი ბიუჯეტიდან 5216,831 ლარი და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 34083,764 ლარი, შესრულდა 24376,387 ლარით, გეგმის 72 %-ით.

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა დაფინანსდა 11046,220 ლარით შესრულდა გეგმის 64% მათ შორის: გზების მიმდინარე შეკეთება 1724,519 ლარით, გეგმის 64 %, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში უამინდობის გამო ვერ შესრულდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გზების ორმოული შეკეთების სამუშაოები, განხორციელდა ერთი ერთეული გადამზიდის და ერთი ერთეული გადამზიდის თავსებადი ლაფეტის (მისამბელი) შესყიდვა, ტექნიკა გადმოცემულია მომწოდებლის მიერ, თუმცა წარმოსადგენი აქვს ანგარიშსწორებისთვის განსაზღვრული დოკუმენტაცია; შ.პ.ს. „საგარეჯოს“ სუბსიდიის სახით დაუფინანსდა 475,843 ლარი, გეგმის 99 %; ახალი გზების მშენებლობაზე გაიხარჯა 8766,482 ლარი, გეგმის 63 %, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში ვერ შესრულდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების, აგრეთვე საპროექტო და სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების სამუშაოები, დასრულებულ პროექტებზე წარმოსადგენია ანგარიშსწორებისთვის განსაზღვრული დოკუმენტაცია, ასევე რამდენიმე ხელშეკრულება დაიდო 2023 წლის ოქტომბერ-ნოემბერში, სამუშაოს მიწოდების ვადები განისაზღვრა 2024 წლის მარტი-აპრილის თვეებში, სამუშაოები მიმდინარეობს ვადების დაცვით; საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება 79,375 ლარი, გეგმის 66 %, აუთვისებელი თანხა წარმოადგენს სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების შესყიდვისათვის ჩატარებული ტენდერის შემდეგ დარჩენილ ეკონომიას;

წყლის სისტემების განვითარება 5099,035 ლარი, გეგმის 86 %; აქედან სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციაზე გაიხარჯა 4339,785 ლარი, გეგმის 84 %; სასმელი წყლის ექსპლოატაციის (ა(ა)იპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცენტრი) დაფინანსებამ შეადგინა 759,250 ლარი, გეგმის 96 %;

გარე განათება დაფინანსდა 1647,637 ლარით, გეგმის 90 %, მათ შორის გარე განათების ქსელის ექსპლოატაციას მოხმარდა 1573,262 ლარი, გეგმის 98 %, ხოლო გარე განათების ახალი წერტილების მოწყობას 74,375 ლარი, გეგმის 33 %, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში შესრულდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მასშტაბით გარე განათების მოწყობის სამუშაოები, თუმცა წარმოსადგენია ანგარიშსწორებისთვის განსაზღვრული დოკუმენტაცია;

ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია 3651,215 ლარი გეგმის 71 %;

კეთილმოწყობის პროგრამა დაფინანსდა სულ 555,680 ლარით, გეგმის 48 %, ეს არის საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაციის ხარჯი, გეგმის 1057,817 ლარის 53 %, კონტრაქტორის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის გამო ხელშეკრულება შეწყდა „კოდას“ საკურორტო ზონის განვითარების ხელშეწყობა ტურისტული და ბიზნესის ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობით-კერძოდ ტერასისა და კოტეჯების მოწყობის სამუშაოებზე, აგრეთვე ვადებში ვერ შესრულდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავი ქონების საკადასტრო აზომვითი-აგეგმვითი ნახაზების შედგენის და საექსპერტო მომსახურების სამუშაოები; შენობების ფასადების რეაბილიტაციის ქვეპროგრამის გეგმაა 94,392 ლარი, გათვალისწინებული იყო ქ. საგარეჯოში, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ეზოს რეაბილიტაციის სამუშაოები, ტენდერი არ შედგა;

სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია დაფინანსდა 294,644 ლარით გეგმის 73 %;

სარიტუალო ღონისძიებების პროგრამის სასაფლაოების მოვლა და შემოღობვის ქვეპროგრამა 67,074 ლარი გეგმის 36 %, გათვალისწინებული იყო სოფელ პატარძეულში შიოს ეკლესიის შემოღობვა, აღნიშნული პროექტის განხორციელებისთვის, რომელიც წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს, ნებართვა საპატრიარქოდან და კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროდან არ გაცემულა

„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ხარჯმა შეადგინა 2014,882 ლარი, გეგმის 89 %.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა

26 აპრილი, 2024 წელი

გაგრძელება

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტი - გეგმა გაიზარდა 3540,482 ლარით, მათ შორის დაემატა გასული წლის ნაშთიდან სახელწიფო ფონდების 321,879 ლარი, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის №2475 განკარგულებით 322,501 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტის ნაშთიდან 2004,104 ლარი, საკასო შემოსავლების მიხედვით გაზრდილი ბიუჯეტიდან 891,997 ლარი და შეადგინა 6317,582 ლარი, შესრულდა 4302,299 ლარით ანუ 68 %-ით.

დასუფთავება და გარემოს დაცვის პროგრამა დაფინანსდა 3140,962 ლარით გეგმის 99 %, აქედან დასუფთავება და ნარჩენების გატანა დაფინანსდა 1155,258 ლარით, გეგმის 97 %; შ.პ.ს. "სუფთა მუნიციპალიტეტი 2018" დაფინანსდა 1985,704 ლარით, გეგმის 100 %;

მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება 1004,996 ლარი, გეგმის 44 %, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში შესრულდა, მაგრამ წარმოსადგენია ანგარიშსწორებისთვის საჭირო დოკუმენტაცია შემდეგ პროექტებზე: წყაროსთავის "ბეჟიტაანთ უბანში" სკვერის მოწყობა, სოფელ პატარძეულში, „გმირთა სავანეს" რეაბილიტაციის სამუშაოები, ქალაქ საგარეჯოში რუსთაველის ქუჩა №178-ის ეზოში სკვერის მოწყობის სამუშაოები, კონტრაქტორის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის გამო ხელშეკრულება შეწყდა ქალაქ საგარეჯოს ცენტრალურ ნაწილში ახალი რეკრეაციული და გასართობი არეალის მოწყობის სამუშაოებზე, ვადებში ვერ შესრულდა საპროექტო და სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების სამუშაოები;

კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში 156,341 ლარი გეგმის 18 %, ეს არის ერთი ერთეული კომბინირებული (ქუჩის მომრწყავი, თოვლსაწმენდი და მარილმომყრელი) სპეციალიზირებული მანქანის შესყიდვაზე გადახდილი ავანსის თანხა, ტექნიკის მოწოდების შემდეგ გაფორმებული მიღება-ჩაბარების საფუძველზე განხორციელდება ანგარიშსწორება.

განათლების დამტკიცებული ხარჯები გაიზარდა 3191,665 ლარით, დაემატა სახელმწიფო ფონდების გასული წლის ნაშთიდან 178,920 ლარი, საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფისთვის 2023 წლის 27 იანვრის მთავრობის №147 განკარგულებით გამოიყო 621,431 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტის გასული წლის ნაშთიდან 1651,315 ლარი, საკასო შემოსავლების მიხედვით გაზრდილი ბიუჯეტიდან 740,000 ლარი და გეგმამ შეადგინა 7152,166 ლარი, შესრულდა 81 %-ით ანუ დაფინანსდა 5818,179 ლარით.

სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება (ა(ა)იპ - საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება) დაფინანსებულია 4058,400 ლარით გეგმის 92 %–ით;

სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა 931,089 ლარით, გეგმის 55 %, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში ვერ შესრულდა საპროექტო და სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების სამუშაოები; დაგეგმილი იყო სკოლამდელი დაწესებულებების ეზოებში საბავშვო ატრაქციონების მოწყობა, ტენდერი არ შედგა სამჯერ, აგრეთვე დაგეგმილი იყო ახალი აშენებული საბავშვო ბაღის(სოფ. მუდანლოში) აღჭურვა.

სკოლისგარეშე დაწესებულების ფუნქციონირება დაფინანსდა 264,355 ლარით გეგმის 80 %, აქედან ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანების ხარჯებმა შეადგინა 213,807 ლარი გეგმის 89 %; სხვა ***არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში*** 50,548 ლარი გეგმის 56 %, ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიება- აზერბაიჯანული საჯარო სკოლების მასწავლებელთა ფინანსური წახალისება(მგზავრობის ხარჯი საცხოვრებელი ადგილიდან სამუშაო ადგილამდე) არ განხორციელდა, ვინაიდან მალე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ამუშავდება საზოგადოებრივი ტრანსპორტი;

საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა 564,335 ლარი გეგმის 80 %;

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის გეგმა გაიზარდა 4450,387 ლარით, სახელმწიფო ფონდების გასული წლის ნაშთიდან 22,781 ლარი, მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან 2023 წლის 9 თებერვლის №301 განკარგულებით 418,815 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტის ნაშთიდან 3541,050 ლარი, საკასო შემოსავლების მიხედვით გაზრდილი ბიუჯეტიდან 467,741 ლარი და შეადგინა 7953,787 ლარი, დაფინანსდა 6531,456 ლარით ანუ 82 %-ით.

სპორტის სფეროს განვითარება დაფინანსებულია 3844,101 ლარით გეგმის 80 %-ით; მათ შორის: ა(ა)იპ "საგარეჯოს №105 კომპლექსური სასპორტო სკოლა" 76,376 ლარით, გეგმის 99 %; ა(ა)იპ'საგარეჯოს სპორტული გაერთიანება" 908,451 ლარით, გეგმის 100 %; ა(ა)იპ რაგბის კლუბი"ვეფხვები" 473,190 ლარით, გეგმის 100 %; შ.პ.ს. საფეხბურთო კლუბი „საგარეჯოს გარეჯი" 316,500 ლარით, გეგმის 100 %; სპორტული ღონისძიებები 208,614 ლარით გეგმის 99 %; სპორტული ობოიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა 1860,970 ლარით გეგმის 66 %, ანგარიშსწორებისთვის საჭირო დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის გამო საკასო ხარჯი არ გაწეულა შემდეგ დასრულებულ სამუშაოებზე: ქ.საგარეჯოში, ცხვედაძის ქუჩაზე არსებული მუზეუმის ეზოში ქუჩის ტრენაჟორების მოწყობა, ქ. საგარეჯოში, ჯაფარიძის ქუჩაზე ტრენაჟორების მოწყობა, სოფ. კაკაბეთში არსებული სპორტული მოედნის რეაბილიტაცია, სოფ.უდაბნოში სპორტული დარბაზის მშენებლობა, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში ვერ შესრულდა საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის, საპროექტო და სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების სამუშაოები, დაგეგმილი იყო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სტადიონების მოვლა-პატრონობა, ტენდერი არ შედგა;

კულტურის სფეროს განვითარება დაფინანსდა 2456,031 ლარით, გეგმის 85 %-ით, მათ შორის: ა(ა)იპ „საგარეჯოს ჯემალ ბურჯანაძის სახელობის სამუსიკო სკოლა" 251,574 ლარი, გეგმის 100 %; ა(ა)იპ „კულტურის ობიექტების გაერთიანება" 993,309 ლარი, გეგმის 100 %; კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა 856,523 ლარი გეგმის 70 %, ანგარიშსწორებისთვის საჭირო დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის გამო საკასო ხარჯი არ გაწეულა შემდეგ დასრულებულ სამუშაოებზე: სოფელ ბადიაურში გმირთა მემორიალის რეაბილიტაცია, ქ. საგარეჯოს საახალწლო გაფორმებისათვის გასანათებელი მოწყობილობების, დეკორაციებისა და აქსესუარების შესყიდვა(თამდევი მონტაჟი/დემონტაჟით); კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა 354,625 ლარი, გეგმის 81 %;

ახალგაზრდობის მხარდაჭერა 177,625 ლარი, გეგმის 91 %;

საგამომცემლო საქმიანობა (შ.პ.ს. „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი გარეჯის მაცნე") 53,699 ლარი გეგმის 100 %.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დამტკიცებული გეგმა გაიზარდა ადგილობრივი ბიუჯეტის ნაშთიდან 1221,302 ლარით და შეადგინა 3397,902 ლარი, შესრულდა 69 %-ით, ანუ 2332,383 ლარით.

ჯანმრთელობის დაცვა დაფინანსდა 488,949 ლარით, გეგმის 34 %, მათ შორის, ***საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა*** (ა.(ა).ი.პ. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი) დაფინანსდა 165,705 ლარით, გეგმის 93 %; ***სოფლის ამბულატორიების ხელშეწყობა და ჯანდაცვის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია*** 323,244 ლარით გეგმის 26 %, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში ვერ შესრულდა სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების სამუშაოები, აგრეთვე 2023 წლის 29 დეკემბერს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისთვის შენობის მშენებლობის სამუშაოების დასრულების ვადა გაგრძელდა 2024 წლის 31 მარტამდე;

სოციალური დაცვა დაფინანსდა 1843,434 ლარით, გეგმის 93 %,

1) ***პირველ*** და მეორე ახალდაბადებული ბავშვიანი სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარების პროგრამა 10,100 ლარით, გეგმის 72 %(25 ოჯახი);

2) ***მრავალშვილიანი*** ოჯახების დახმარების პროგრამა 67,800 ლარით, გეგმის 98 % (158ოჯახი);

3) ***ბავშვთა კვების*** პროგრამის 16,545 ლარი, გეგმის 83 %; (25 ბავშვი)

4) ***უდედმამო ბავშვების*** დახმარების პროგრამა 12,300 ლარით, გეგმის 52 % (34 ბავშვი);

5) ***შშმ 18 წლამდე ბავშვთა*** დახმარების პროგრამა 53,450 ლარი, გეგმის 100 %, დახმარება გაეწია 95 ბავშვს;

6) ***შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა*** 65,550 ლარი, გეგმის 94 %, ფულადი დახმარება გაეწია 34 უსინათლო პირს 100 ლარის ოდენობით თვეში წლის განმავლობაში, დაფინანსდა 9 ბენეფიციარის სარეაბილიტაციო კურსი, 7 ბენეფიციარის და მათი თანმხლები პირებისთვის სანატორიულ-საკურორტო სასტუმროს მომსახურება, შშმ პირთა სარეაბილიტაციო ცენტრის მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის და ბენეფიციართა ტრანსპორტით მომსახურების ხარჯები, აგრეთვე დაფინანსდა შშმ პირთა დასაქმების და საზოგადოებაში ინტეგრაციასთან და აუტიზმის სპექტრის დღესთან დაკავშირებით მიღებული სატრენინგო მომსახურებები;

7) ***მარტოხელა*** სტატუსის მქონე მშობლების დახმარების პროგრამა 3,300 ლარი გეგმის 55 % (11 ბენეფიციარი);

8) ***რეინტეგრირებული ოჯახების*** ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა 390 ლარი გეგმის 29 %, (2 ბენეფიციარი);

9) ***სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა*** 431,984 ლარი გეგმის 96 %(870 ბენეფიციარი);

10) ***მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა*** 229,883 ლარი გეგმის 98 % (741 ბენეფიციარი);

11) ***ონკოლოგიურ პაციენტთა დახმარების პროგრამა*** 147,008 ლარი გეგმის 91 % (251 ბენეფიციარი);

12) ***ბიკარბონატული ჰემოდიალიზითირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა*** 65,520 ლარი გეგმის 100 %(46 ბენეფიციარი);

13) ***ელექტრო ენერგიის და გაზის გადასახადის დაფინანსების პროგრამა*** 51,025 ლარი გეგმის 100 %(414 ბენეფიციარი);

14) ***მოწყვლადი ჯგუფების გათბობის ხარჯით დახმარების პროგრამა*** 88,350 ლარი გეგმის 89 % (886 ბენეფიციარი);

15) ***სოციალურად დაუცველი მოწყვლადი ჯგუფებისთვის საკვების გაცემა დღესასწაულებზე*** 129,516 ლარი გეგმის 81 %, ეს არის სოციალურად დაუცველ ოჯახებისათვის სხვადასხვა სახის საკვები პროდუქტების შეძენის ხარჯი, გადაეცათ ნოვრუზ ბაირამის დღესასწაულთან დაკავშირებით 250 ოჯახს, აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით 1200 ოჯახს, ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით 1100 ოჯახს;

16) ***მოსახლეობის ტრანსპორტირების პროგრამა*** 23,200 ლარი გეგმის 93 %;

17) ***ხანდაზმულ*** (95 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა 5,300 ლარი გეგმის 88% (17 ბენეფიციარი);

18) ***უპატრონო და სოც დაუცველი მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურეობის პროგრამა*** 46,000 ლარი გეგმის 98 % (56 ბენეფიციარი);

19) ***სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახებისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემულ ფართებში მინიმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა*** 7,450 ლარი გეგმის 100 %, გაიწმინდა ქ.საგარეჯოში კახეთის გზატკეცილი №19ა-ზე მდებარე საერთო საცხოვრებელი კორპუსის ეზოში არსებული საკანალიზაციო ჭები;

20) ***მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა*** 25,738 ლარი გეგმის 92 % (23 ოჯახი);

21) ***უმწეოთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება*** 318,022 ლარი გეგმის 98 % (220 ბენეფიციარი);

22) ***ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა*** 5,000 ლარი გეგმის 50 %, დახმარება გაეწია სამშობლოს დაცვისათვის ომში მონაწილე აწ გარდაცვლილი 6 ვეტერანის ოჯახს, 2008 წლის 8 აგვისტოს ომში დაღუპულთა 3 ოჯახს, აგრეთვე ფაშიზმზე გამარჯვების 78-ე წლისთავთან დაკავშირებით მეორე მსოფლიო ომის 1 ვეტერანს;

23) ***წითელი ჯვრის დაფინანსების პროგრამა*** 21,203 ლარი გეგმის100 %;

24) ***სტუდენტებისთვის სწავლის საფასურის დაფინანსება*** 17,000 ლარი გეგმის 94 % (17 ბენეფიციარი);

25) ***მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა*** 1,800 ლარი გეგმის 100 %.

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

გეგმა გაიზარდა 97,826 ლარით ადგილობრივი ბიუჯეტის ნაშთიდან და შეადგინა 6470,426 ლარი, დაფინანსდა 5976,829 ლარით ანუ 92 %-ით.

საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა დაფინანსდა 5904,096 ლარით, გეგმის 92 %, მ.შ.: მუნიციპალიტეტის საკრებულო დაფინანსდა 1369,042 ლარით გეგმის 98 %-ით; მუნიციპალიტეტის მერია 4307,785 ლარით, გეგმის 91 %-ით; სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური დაფინანსდა 227,270 ლარით, გეგმის 96 %-ით;

საერთო დანიშნულების ხარჯები დაფინანსდა 72,733 ლარი, გეგმის 83 %, ეს არის მგფ-ს და სხვა დავალიანებების დაფარვის ქვეპროგრამით გადახდილია სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა" და საგარეჯოს მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის" ქონების(2 ცალი ნაგავმზიდი, 240 ცალი ნარჩენების კონტეინერი) გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში სესხის პროცენტი 19,463 ლარი, ვალდებულების კლება 53,270 ლარი.

სარეზერვო ფონდის დამტკიცებული გეგმა 524,000 ლარიდან გასანაწილებელი დარჩა 14,507 ლარი, 509,493 ლარი განაწილდა შემდეგნაირად: მიმდინარე წლის 20 იანვარს ქ. საგარეჯოში მომხდარი ტრაგედიის დამეს ცეცხლსასროლი იარაღიდან

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ინფრასტრუქტურა-2024

შეხვედრა სამშენებლო-კონტრაქტორი კომპანიების წარმომადგენლებთან

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიაში სამშენებლო-კონტრაქტორი კომპანიების წარმომადგენლებთან საკონსულტაციო-გეგმური შეხვედრა გაიმართა, სადაც ინფრასტრუქტურული სამუშაოების მიმდინარე პროცესები- გეგმა-გრაფიკი და სამუშაოების შესრულების ხარისხი იქნა განხილული. შეხვედრას საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი, **ავთანდილ გულიკაშვილი** მოადგილეებთან **ემზარი კუჭუაშვილთან, გიორგი ლალიაშვილთან,** შესყიდვების, ინფრასტრუქტურის, ზედამხედველობისა და იურიდიული სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდა.

სიახლე

მალე მუნიციპალური ტრანსპორტი იმოძრავებს

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი **ავთანდილ გულიკაშვილი,** ავტოპარკის ტერიტორიაზე მოადგილესთან **გიორგი ლალიაშვილთან** ერთად შპს „საგარეჯოს“ ხელმძღვანელს - **თამაზ კუჭუაშვილსა** და მუნიციპალური ტრანსპორტის მძღოლებს შეხვდა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მგზავრთა რეგულარული გადაყვანის მიზნით ავტობუსების (3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების შესახებ ესაუბრა.

მიმდინარე წლის გაზაფხულზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიამ 4 ერთეული ადაპტირებული ახალი ავტობუსი შეიძინა, რომლის მოძრაობის მარშრუტები მუნიციპალიტეტის საკრებულოს 16 მაისს გამართულ რიგგარეშე სხდომაზე მიღებული №13 დადგენილებით დამტკიცდა.

მუნიციპალიტეტის მერის, ავთანდილ გულიკაშვილის მითითებით, აღნიშნული ტრანსპორტი უახლოეს დღეებში დაიწყებს მოძრაობას. განრიგისა და მარშრუტების შესახებ ინფორმაცია სოციალური გვერდის საშუალებით ეცნობება მოსახლეობას. გარდა ამისა, ტრანსპორტის გადაადგილების შესახებ განცხადება მგზავრთა მოსაცდელებშიც განთავსდება.

სავარგულებთან მისასვლელი

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საგაზაფხულო სამუშაოებთან დაკავშირებით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ადმინისტრაციულ ერთეულებში სავარგულებთან მისასვლელი გზების მოსწორება - მოხრეშვა აქტიურად მიმდინარეობს.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის თათბირი

15 მაისს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი **ავთანდილ გულიკაშვილი** მოადგილესთან, გიორგი ლალიაშვილთან ერთად საჭიროებების განსაზღვრის მიზნით, ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლებს შეხვდა, მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებისა და სოციალური პროგრამების შესახებ ინფორმაცია მოისმინა და სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში პრიორიტეტებით განსაზღვრული პროექტების მიმდინარეობაზე ისაუბრა.

შეგახსენებთ, რომ მუნიციპალიტეტის მერიის შეხვედრების დარბაზში გეგმური თათბირები ყოველკვირეულ რეჟიმში იმართება.

ეროვნული სამოსის დღე საგარეჯოში

უფასო სამედიცინო გამოკვლევა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით, „თბილისის გულის ცენტრის“ სამედიცინო პერსონალის მიერ, ქალაქ საგარეჯოში უფასო სამედიცინო გამოკვლევების აქცია გაიმართა.

აქცია მოიცავდა კარდიოლოგიური, ანგიოლოგიური და ენდოკრინოლოგიური პროფილის უფასო კონსულტაციებს და გამოკვლევებს (კარდიოლოგის, ანგიოლოგის, ენდოკრინოლოგის კონსულტაცია, ელექტროკარდიოგრამა, ექოკარდიოგრაფია, სისხლძარღვების დუპლექსსკანირება).

აქციის ფარგლებში მრავალპროფილური უფასო კვლევით ადგილობრივი მოსახლეობის რამდენიმე ათეულმა მოქალაქემ ისარგებლა.

ქეთი გრატიაშვილი,
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პრესსპიკერი

ჩვენს მუნიციპალიტეტში

ღია გაკვეთილზე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი **ავთანდილ გულიკაშვილი**, მოადგილესთან **გიორგი ლალიაშვილთან** ერთად, სოფელ დუზაგრამაში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ღია გაკვეთილს დაესწრო.

აღსაზრდელები სხვადასხვა აქტივობებით წარდგნენ მაყურებლის წინაშე და არაერთი ქართული ლექსი და სიმღერა შემოგვთავაზეს.

მუნიციპალიტეტის მერი პედაგოგებსა და მშობლებს საჭიროებების შესახებ ესაუბრა და საბავშვო ბაღის ახალი შენობის მშენებლობის დაგეგმვის საკითხზე დაწვრილებითი ინფორმაცია მიაწოდა.

30 აპრილი - ბიბლიოთეკართა პროფესიული დღეა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა **ავთანდილ გულიკაშვილმა** მუნიციპალიტეტის მასშტაბით მოღვაწე ყველა ბიბლიოთეკარს პროფესიული დღე მიულოცა და სიმბოლური საჩუქრები გადასცა.

"მინდა მივულოცო ჩვენი მუნიციპალიტეტის ყველა ბიბლიოთეკარს პროფესიული დღე.

ეს დღე არის ერთგვარი სიმბოლო, რომ კიდევ ერთხელ გავაცნობიეროთ ამ დარგის მნიშვნელობა და წიგნისადმი დამოკიდებულება. ჩვენი მიზანია, რომ მკითხველებსა და დარგის სპეციალისტებს შევუქმნათ კომფორტული და სასიამოვნო გარემო, რათა მომავალმა თაობამ კიდევ უკეთ გააცნობიეროს ამ სივრცის მნიშვნელობა და ფასეულობა.

ღვაწლმოსილო ბიბლიოთეკარებო, გილოცავთ, თქვენ დიდი წვლილი მიგიძღვით საზოგადოების სულიერი და კულტურული განვითარების საქმეში და მე ვისურვებდი - თქვენი შემოქმედებითი შთაგონება და სურვილი არ გაქრეს, რომ ადამიანებს აჩუქოთ სითბო და სიყვარული"- განაცხადა **ავთანდილ გულიკაშვილმა**

საადღგომო ნობათები

ტრადიციულად, აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ა.ა.იპ. „სათნოების სახლის" ბენეფიციარებს, დღის ცენტრის 18 წლამდე ასაკის მოზარდებს, სათემო სახლის ბენეფიციარებს, მრავალშვილიან ოჯახებს, მარჩენალდაკარგულ მარტოხელა მშობლებსა და საერთო საცხოვრისის ბენეფიციარებს საადღგომო ნობათები საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა - **ავთანდილ გულიკაშვილმა** მოადგილესთან **გიორგი ლალიაშვილთან** ერთად გადასცა.

„ვულოცავ საგარეჯოს მოსახლეობას აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს, მშვიდობა, ჯანმრთელობა, კეთილი საქმეების კეთების სურვილი და საზეიმო განწყობა ჰქონოდეს თითოეულ ოჯახს. ჩვენი მთავარი მიზანი მოქალაქეების კეთილდღეობაა, ამიტომ, ვცდილობთ, ოჯახებს მათ საჭიროებებზე მორგებული სოციალური პროგრამები შევთავაზოთ. ამ მიმართულებით ჩვენ აქტიურად ვაგრძელებთ მუშაობას და ყოველწლიურად ვზრდით დაფინანსებას".- განაცხადა **ავთანდილ გულიკაშვილმა.**

მუნიციპალიტეტის მასშტაბით, საადღგომო ამანათი წელს, ჯამში 1200 სოციალურად დაუცველ ოჯახს გადაეცა.

18 მაისი მუზეუმების საერთაშორისო დღეა

მილოცვა

მინდა ჩვენი მხარეთმცოდნეობის, გოგლა ლეონიძისა და რევაზ ინანიშვილის სახელობის მუზეუმის ყველა თანამშრომელს მივულოცო პროფესიული დღე.

უმნიშვნელოვანესია თქვენი როლი, ჩვენი მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობის, შესწავლისა და პოპულარიზაციის საქმეში.

გისურვებთ მხნეობას და მსოფლიო კულტურულ რუკაზე ჩვენი საგანძურის ღირსეულ პოზიციონირებას.

პატივისცემით,

ავთანდილ გულიკაშვილი

სპორტი

ძიუ-დო ვერცხლის მედალი

აზერბაიჯანში, ქ. გოიგოლში გამართული ევროპის თასის ვერცხლის პრიზიორია **ლუკა დარისპანაშვილი** (-55კგ)

ბრინჯაო პოლონეთიდან

პოლონეთში ქ. ბიელსკო-ბიალას ევროპის თასის ბრინჯაოს პრიზიორია ძიუდში ლუკა დარისპანაშვილი - (55კგ) ვულოცავთ გამარჯვებას და წარმატებებს ვუსურვებთ!

არსენ მეკოკიშვილის სახელობის

სოფელ გიორგიწმინდაში ჩატარდა მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის, ლეგენდარული ფალავნის **არსენ მეკოკიშვილის** სახელობის რესპუბლიკური ტურნირი ქართულ ჭიდაობაში, 2007-2009 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა შორის.

საპრიზო ადგილები დაიკავეს შემდეგ წონით კატეგორიებში:

რატი როსტიაშვილი - (50კგ), **მერაბ ზირაძაშვილი** - (50კგ), **ლუკა კანჯარაშვილი** - (55კგ),**თაზო შიოშვილი** - (55კგ), **ვახო ჭიაბერაშვილი** - (60კგ), **ნიკოლოზ კურდღელაშვილი** - (66კგ), **ლადო მაჩურიძე** - (73 კგ), **გიორგი ნაცვლიშვილი** - (81კგ)

წონითი კატეგორიების დასრულების შემდეგ გაიმართა ***აბსოლუტური პირველობა,*** სადაც გამარჯვება და დაწესებული პრიზი – ჭედილა კვლავ არავის დაუთმო **სანდრო სონიშვილმა!**

გამარჯვებულ სპორტსმენებს საჩუქრად გადაეცათ სიგელები, შესაბამისი ხარისხის მედლები, თასები და ფულადი ჯილდოები.

კახეთის გუნდური პირველობა

ქ.ბურჯაანში კახეთის ქართული ჭიდაობის ფედერაციის ორგანიზებით ჩატარდა კახეთის გუნდური პირველობა 2012-2013 წელს დაბადებულ სპორტსმენთა შორის, სადაც მონაწილეობას იღებდა აიპ „საგარეჯოს სპორტული გაერთიანების“ გუნდი.

საგარეჯოს გუნდმა არავის დაუთმო გამარჯვება და გუნდური I ადგილი დაიკავა.

გუნდურ შეჯიბრში მონაწილეობას იღებდნენ:

ბაბრიელ კოხტაშვილი, ტატო ჩოკოშვილი, ლუკა კურდღელაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, თენგო გიუნაშვილი, გიგა ვარდიაშვილი, ნიკა ქვრივიშვილი, გიორგი დალბაშვილი.

უნდა აღვნიშნოთ, რომ წელს უკვე ზედიზედ მეოთხედ, საგარეჯოს გუნდი არავის უთმობს გამარჯვებას და ჩემპიონის ტიტულს!

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა

26 აპრილი, 2024 წელი

დასასრული

მიყენებული დაზიანებების შედეგად გარდაცვლილი პირების ოჯახების დასახმარებლად 20,000 ათასი ლარი, აგრეთვე რთულ ვითარებაში გამოჩენილი მამაცობისთვის შემთხვევის ადგილზე მისულ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადების თანამშრომელების დასაჯილდოვებლად 4,500 ლარი, სოფელ გომბორში მცხოვრებ სოციალურად დაუცველი მოქალაქისთვის საცხოვრებელი კონტეინერის შესაძენად 17,452 ლარი, სოფელ უჯარმაში მცხოვრები სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახის სახლის სახურავის შესაკეთებლად 16,541 ლარი, ხანძრის შედეგად დაზარალებული სოფელ მზისგულში მცხოვრები მოქალაქის საცხოვრებელი სახლის იატაკის მასალის შესაძენად 19,183 ლარი, სოფელ თოხლიაურში მცხოვრები მოქალაქის ხანძრის შედეგად დაზიანებული სახლის აღდგენის მიზნით 27,566 ლარი, სტიქიის შედეგად დაზიანებული მოქალაქეების საცხოვრებელი სახლების აღდგენისათვის მასალების შესაძენად 402,251 ლარი, შოვში მომხდარი ტრაგედიის სამაშველო ღონისძიებებში მონაწილე 4 მაშველის დასაჯილდოებლად 2,000 ლარი.

ბიუჯეტის არასაკუთარი შემოსავლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 2266,732 ლარი, შესრულდა 90%-ით ანუ 2036,044 ლარით.

დღის წესრიგის შემდეგ საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კოჭბანის ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთისათვის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების თაობაზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილების შეთანხმების შესახებ, მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის „იურიდიული სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა ზიძრია გილაშვილმა.***

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე: საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. საგარეჯოში, დავით აღმაშენებლის №15-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში არსებული, ფართის სსიპ სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების რეგიონული ცენტრების სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და რეკრუტირების მუნიციპალური განყოფილებისათვის გადაცემის შესახებ მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების და ქონების მართვისა და სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა ლალი ზაბახიძემ.***



საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერისათვის გრანტის მიღებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ტურიზმის განვითარების და ხელშეწყობის განყოფილების უფროსმა ძეთი ბრატიაშვილმა.***

საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2024 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტში გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელმა პირმა თამარ შრდულაშვილმა.***

სხდომის მუშაობა შეაჯამა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსი გილაშვილმა.***

ფაშიზმზე გამარჯვებიდან 79 წელი გავიდა

ბრძოლებში გავლილი ახალგაზრდობა

ნინოწმინდელი ივანე ტოპეშაშვილი საგარეჯოს რაიონში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული, განათლებული, ერუდირებული პიროვნება იყო... ივანემ განათლება ჯერ კიდევ სახლში იმ წიგნების კითხვით მიიღო, რომელიც მამამისს – მღვდელ პავლე ტოპეშაშვილის ბიბლიოთეკაში მოიძიებოდა... ნინოწმინდელმა ჭაბუკმა სამხედრო-სავალდებულო სამსახურში ყოფნისას ხელში ნამდვილი იარაღი აიღო, თანამებრძოლებთან ერთად მტკიცე ფიცი დადო სამშობლოს სისხლის უკანასნელ წვეთამდე დაცვისათვის და იმ ჯოჯოხეთურ ომში ჩაება, რომელსაც ჰიტლერის გეგმა უნდა გაენადგურებინა. სად და როგორ აღარ მოუწია ბრძოლა, სახლში კი გამარჯვებული დაბრუნდა, თუმცა მანამდე, 1938 წელს საგარეჯოს პედაგოგიურიტექნიკუმის დამთავრების შემდეგ მუშაობა სოფელ კოჭბანში დაიწყო. მუშაობდა სკოლაშიპედაგოგად, შემდეგ კი სამხედრო სავალდებულოსამსახურში გაწვევის წინ – საგარეჯოს კომკავშირის რაიკომში ინსტრუქტორად.



შექმნა ოჯახი და საგარეჯოში დაფუძნდა.მუშაობდა საგარეჯოს საბჭოთა მეურნეობაშიპროფკავშირების თავმჯდომარედ,ზოოტექნიკოსად საგარეჯოს მერძევეობა-მებოსტნეობის მეურნეობაში,საგარეჯოს მეფრინველეობის ფაბრიკაში ბრიგადირად, პარტორგად. თუმცა არც უმაღლეს განათლებაზე უთქვამს უარი და 1964 წელსროგორც სამამულო ომის მონაწილე უგამოცდოდ ჩაირიცხა საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის ზოოტექნიკური ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე.რუსული ენისა და ლიტერატურის პედაგოგ თამარ ლაფერიშვილთან ერთად სამი შვილი გაზარდეს: პავლე, მარინე და ლუიზა. პავლე რამდენიმე უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ კომუნისტური პარტიის რაიკომში ინსტრუქტორად მუშაობდა. სხვადასხვა დროს კი იყო საპასუხისმგებლო პოზიციებზე, ერთხანს ვერხვიანის კოლმეურნეობის თავმჯდომარეც. მარინემ და ლუიზამ ექიმი, სტომატოლოგის სპეციალობა აირჩიეს...

ამ დღეებში სოციალურ ქსელში პავლე ტოპეშაშვილის დია ბარათს,მიწერილს მამის და მისი ამხანაგებისადმი წავაწყდი, სადაც ის გამარჯვების 79-ე წლისთავს ულოცავს იმიერში გადასულ ივანე ტოპეშაშვილსა და სამამულო ომში დაღუპულთა სულებს.

1939 წელს გაიწვიეს კადრში. ომს ლატვიის საპორტო ქალაქ ლიბავაში(ახლანდელი ლიეპაია), დილის 4 საათზე, საბრძოლო მორიგეობის დროს შეხვდა. შემდეგ ბრძოლები. მძიმედ დაჭრა და ტყვეობა. 22 თვე რიგის საკონცენტრაციო ბანაკი. გაქცევის მცდელობა და სიკვდილის პირას მიყვანა. მეორე მცდელობა მეგობრებთან ერთად და პოლონეთის ტყეები, პარტიზანული რაზმი „გვარდია ლიუდოვა". შემდეგ კოვპაკის ლეგენდარული პარტიზანული დივიზია, ათმეთაური დაზვერვაში. საბჭოთა არმიის მიერ სსრკ საზღვრის გადაკვეთის შემდეგ შინსახკომის ჯარების რიგებში უკრაინელ და პოლონელ ნაციონალისტებთან ბრძოლა და მხოლოდ 1946 წლის ზაფხულში დაუბრუნდა ოჯახს, სადაც მხოლოდ მოხუცი დედადა დახვდა.

იმავე წლის შემოდგომით, დედაჩემთან, თამართან (ლაფერიშვილი) ერთად შექმნეს შესანიშნავი ოჯახი, გაგვზარდეს და ცხოვრების სწორ გზაზე დაგვაყენეს სამი შვილი და ახლა, ქვეყნისა და ოჯახის წინაშე ვალმოხდილები განისვენებენ სოფელ ნინოწმინდის სასაფლაოზე, ჩვენს საგვარეულო ძვალშესალაგში.

გილოცავ მამაჩემო გამარჯვების დღეს!

ვულოცავ ყველა იმ ჯარისკაცის სულს, ვინაც თავისი სიცოცხლე მსხვერპლად მიიტანა ამ დიდი გამარჯვების მოსაპოვებლად!

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში!

პავლე ტოპეშაშვილი

გიორგი ლეონიძე

არ, დაიდარდო, დედაო...

ღიმილის ბიჭი ვიყავი,
ბეჭზედ არწივი მეხატა,
ცხრამეტი წლისა შევსრულდი,
ოცი არ გადამეხადა,
სამშობლოს დროშა მეჭირა,
მტერს ვეცემოდი მეხადა!
ვისაც უნდოდა, ქართველი
რომ გამხდარიყო ხიზანი,
დავკარი, ვიყავ მართალი,
ვით ჩემი ტყვიის მიზანი...
ნუ დაიდარდებ, დედაო,
მწარე სიკვდილის სევდასა.
დღეო, გადიდდი, გადიდდი,
შვილი ეყრება დედასა!
არ დაიდარდო, დედაო,
რაც მე სიკვდილით გაწყინე;
მე შენი ძუძუს ნათელი
საქვეყნოდ გამოვაბრწყინე.
მე გაგიხუნე ლეჩაქი,
მაგრამ დაგხურე შუქური,
სამშობლოსათვის დავთხიე
სისხლ-ცვარი სიჭაბუკური.
მე არ დამკარგავს სამშობლო,
სულ ვეხსომები ლევანი,
სანამდის საქართველოში
იწურებოდეს მტევანი...
ცხრა ძმათ მეათედ მიმიღეს,
პირზე მაყარეს ვარდები,
დაჭრილს, დამძრალს და გზადაღლილს
დამხურეს მუზარადები.
თუ გაუჭირდა სამშობლოს,
კვლავ ცეცხლით დავიდაგებით,
ჩვენ გამოვამტვრევთ საფლავებს,
ხმლით ქართლის მთებზე დავდგებით.
არ დაიდარდო, დედაო,
ნუ მიეცემი სევდასა.
დღეო, გადიდდი, გადიდდი,
შვილი ეყრება დედასა!

ომამადე გამოგზავნილი წერილი

საგარეჯოელი მანანა მჭედლიშვილის ბიოგრაფია,მისი ცხოვრება კარგად ახსოვთ ხანში შესულ საგარეჯოელებს. ქალი, რომელმაც ათასგვარი გაჭირვება,ომი, უამრავი დაჭრილი და მომაკვდავი ნახა, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ საგარეჯოს რაისაავადმყოფოს მედიცინის მუშაკთა გვერდით აქტიურად ზრუნავდა რაიონის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე. იყო ყურადღებიანი,სამართლიანი, თავდაუზოგავად მებრძოლი ადამიანის ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად ბრძოლაში.

რაოდენ საამაყოა ჩვენთვის, გარეჯელებისთვის,რომ სწორედ მანანა მჭედლიშვილი ზრუნავდა საქართველოს განძის გადამრჩენელი მამულიშვილის ექვთიმე თაყაიშვილის გადასარჩენად, მისი ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად.

ეს ბარათიც,რომელიც საგარეჯოელმა კადრში მყოფმა მეგობარმა მოსწერა, დასტურია იმისა, თუ როგორი მეგობრობა შეეძლო ამ კაფანდარა გოგონას.

აი, რას წერს ძეთი კალანდაძე:

ვიცოდი, რომ ბებიაჩემს შენახული ჰქონდა წერილი, რომელიც მისმა ძმამ, ოსიამ, სავალდებულო სამხედრო სამსახურში მყოფმა ფინეთიდან მისწერა თავის მეგობარ გოგონას, მანანა მჭედლიშვილს. ბევრი ძებნის შემდეგ მივაგენი ამ წერილის მხოლოდ ორ ფურცელს. წერილი 1941 წლის 15 იანვარსაა დაწერილი, ომი დაიწყო თუ არა ოსია ფრონტზე წაიყვანეს, 3 ნოემბერს მოხვდა გერმანიაში საკონცენტრაციო ბანაკში, სადაც 1941 წლის დეკემბერში დაიღუპა. ფინეთიდან დედასთან გამოგზავნილი ბოლო წერილი 25 ივნისით თარიღდება. საინტერესო ისაა, რომ წერილის ადრესატი სწორედ ის მანანა მჭედლიშვილია, რომელიც, მას შემდეგ რაც მისი უბნის ბიჭები ყველა ფრონტზე გაიწვიეს, 1942 წლის აპრილში 20 წლის ასაკში მოხალისედ წავიდა ომში სანინსტრუქტორად. ექვსი თვის განმავლობაში ფრონტის წინა ხაზზე იყო და ათასობით დაჭრილ მეომარს შეუნარჩუნა სიცოცხლე. ნოვოროსიისკთან ახლოს ფეხში მძიმედ დაჭრილი ორ ამხანაგთან ერთად გერმანელებს ტყვედ ჩაუვარდა. მანანა ბერლინში ჩაიყვანეს, სადაც კერძო კლინიკაში ექთნად მუშაობდა. მოგვიანებით სხვა ტყვეებთან ერთად გადაიყვანეს საფრანგეთში და მუშაობა, არც მეტი, არც ნაკლები, ექვთიმე თაყაიშვილთან დაიწყო პირად მდივნად. მასთან ცხოვრობდა, ეხმარებოდა არქივის მოწესრიგებაში და უვლიდა მოხუც მეცნიერს. 1945 წლის აპრილში ექვთიმე თაყაიშვილი საგანძურთან ერთად დაბრუნდა საქართველოში. მანანა კი - 1945 წლის სექტემბერში.

ბავშვობაში,როცა ზაფხულობით საგარეჯოში ვიყავით ხოლმე ბებიასთან და პაპასთან, ხშირად მოდიოდა ხოლმე ჩვენთან სიცოცხლით სავსე ჭაღარათმიანი ქალი, რომელიც კოჭლობდა და საინტერესო ამბებს უყვებოდა ჩემს ბებიას და პაპას, ალბათ ექვთიმე თაყაიშვილის შესახებაც

სალამი მანანას,

უპირველეს ყოვლისა გისურვებ ჯანმრთელობას, რომელიც მთავარ მამოძრავებელ წყაროს წარმოადგენს ადამიანისათვის ცხოვრებაში და იმ იდიალური გრძნობა სურვილების განხორციელებას, რომელიც კი აქვს შენ ჯერაც ახალგაზრდა გულს დასახული. მანან, თქვენგან პირველ დეკემბერს გამოგზავნილი წერილი მე მივიღე 8 იანვარს, რომელშიდაც ეწერა, დღეს თქვენსა ვიყავი, დედაშენი და მარია ბევრი ვაცინე, წითელი ღვინოც კი გეახელიო. სიტყვა ღვინის ამოკითხვაზე პირში ნერწყვები მომივიდა, მაგრამ რას ვიზამდი, მრჩება კიდევ შვიდი თუ რვა თვე და მერე კი მგონი რომ გავთავისუფლდე და ვნახო ჩემი ყოველ დღიურად საგონებელი საქართველო. მანან, ამ წერილში ეწერა, რომ მიშა ხებრელაშვილი ძალიან ავად არის ისე, რომ მისი მორჩენის ნიშნები აღარ ჩანსო. მე მივწერე ერთხელ წერილი და არ ვიცი მიიღო თუ არა. ახლა სანამ შენგან მივიღებდი წერილს, მე უკვე ადრე გავიგე, რომ მიშა გარდაიცვალაო. მე ეს ამბავი ძალიან მეწყინა, მაგრამ რას ვიზამთ, ყველა სიკვდილის შვილები ვართ. აგრეთვე გავიგე ისიც, რომ ავთანდილა გოდერძიშვილიც გარდაიცვალაო და არ ვიცი, რამდენად მართალი იქნება. ანდა გილაანთ გაბროს შვილიშვილი როგორ არის? იმედია, ყველას ამბავს მომწერ ზუსტად.

ახლა მინდა გადავიდე სხვა საკითხებზე. იწერები, რომ ბიჭები ბევრნი ჩამოვიდნენო. მე ეს ამბავი ძალიან გამეხარდა და ჩემს მაგივრად მოკითხვა გადაეცი ა. დოლენჯაშვილს. ხო, მართლა, რომ იწერები, ერთი ბიჭი მაშოვნიეო, კინაღამ მავიწყდებოდა. ბიჭების მეტი კი არ არიან აქ. ახლა ხომ იცი, მეტი წილი ახალგაზრდობის აქეთ არის და ყველა იმას გაიძახის, ჩვენ ისე დავრჩებით, ქალები ყველა გათხოვდებიანო და თუ კი მოიცდი, ვფიქრობ, არ იზარალებ. ჩემზე კი რომ იწერები, ერთი ძევკა იშოვნეო, მაგას მე არ გავაკეთებ იმიტომ, რომ დედაჩემს ქართველი ქალი უნდა მოვგვარო. ისე კი დროს სატარებლად არა უშავთ.

ახლა კიდე მშვიდობით. იყავით კარგად და სულ კარგად".

15.01.1941

იოსებ ლაფაჩიშვილი

მართლმადიდებლობა

იერუსალიმი, მაცხოვრის საფლავი, წმინდა ცეცხლი

წმინდა ცეცხლი მაცხოვრის საფლავზე აგებული კუვუკლიიდან იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის პატრიარქმა, თეოფილე III გამოიტანა. ზეციური ცეცხლი უფლის საფლავზე 15:13 საათზე გადმოვიდა.

კუვუკლიაში შესვლამდე, იერუსალიმის პატრიარქმა მაცხოვრის საფლავს სასულიერო პირებთან ერთად სამჯერ ლიტანიობით შემოუარა. შემდეგ აღდგომის ტაძარში უფლის საფლავზე შევიდა. მანამდე ასევე პატრიარქი სხვადასხვა კონფესიის სასულიერო პირებმა გაჩხრიკეს. საფლავი თბილისის დროით, დაახლოებით, 15.09 საათზე დაიხურა.

აღდგომის ტაძარში წმინდა ცეცხლის გადმოსვლისთვის მომლოცველები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩავიდნენ. მათ შორის არიან მომლოცველები საქართველოდანაც. წმინდა ცეცხლი საქართველოში 23:40 საათზე ჩამოაბრძანეს და ტაძრებში, სააღდგომო ლიტურგიაზე გავრცელდა.

უნივთო ცეცხლმა მაცხოვრის საფლავი აღდგომისას გააბრწყინა. ზეციური ცეცხლი იერუსალიმის აღდგომის ტაძარში პირველად III საუკუნეში გადმოვიდა.

აღდგომის ტაძარში მორწმუნეები წინა დღეს, წითელ პარასკევს იკრიბებიან, ისინი მთელ ღამეს ლოცვაში ატარებენ, სანთლებს კონებად კრავენ, კონაში 33 სანთელი იკვრება, რაც, სიმბოლურად, ქრისტეს მიწიერი ცხოვრების წლებთან არის დაკავშირებული და ასე ელიან სასწაულის აღსრულებას. მას შემდეგ, რაც მაცხოვრის საფლავს ტრადიციისამებრ კუსტოდიით ლუქის, ან ცვილის ბეჭდით დალუქავენ, აღდგომის ტაძარში ხმაურითა და დაფდაფებით ერთმანეთის მხარეზე შემომსხდარი ახალგაზრდა არაბი მართლმადიდებლები შეიჭრებიან და ლოცვას აღავლენენ, რათა უფალმა ღვთაებრივი ცეცხლი გარდმოავლინოს მაცხოვრის საფლავზე. არაბები აუცილებლად უნდა მონაწილეობდნენ ამ საიდუმლოში.

„ხმაურიანი“ ლოცვა-ვედრება, ღვთისმსახურების ასეთი ფორმა ამჟამად უჩვეულოდ გვეჩვენება, მაგრამ ის უახლოვდება უფლის რწმენის მიმართ უძველეს, ყველაზე არქაულ ბიბლიურ დამოკიდებულებას. არაბებმა დღემდე შეინარჩუნეს ძველი აღთქმისეული ლოცვა-დაადგისი. ბრიტანეთის ბატონობის წლებში ინგლისელმა გუბერნატორმა სცადა აეკრძალა ეს „ველური“ როკვა, მაგრამ ცეცხლი არ გადმოვიდა, სანამ იერუსალიმის პატრიარქის ბრძანებით ტაძარში არაბმა მართლმადიდებლებმა ლოცვა არ აღავლინეს.

ლიტანიობა იერუსალიმის საპატრიარქოს ეზოდან იწყება. პროცესია წმიდა იაკობის ტაძრის გავლით აღდგომის ტაძრის საკურთხევლისკენ მიემართება და მას შემდეგ, რაც არაბები ტაძარს მოილოცავენ და დადუმდებიან, ტაძარში სამხრეთის კარიბჭით შემოდის უნეტარესი პატრიარქი იერუსალიმისა და სრულიად პალესტინისა. რამდენიმე წუთის შემდეგ საკურთხეველში მას მიჰყვებიან სომეხი, კოპტი და სირიელი სასულიერო პირები და ტრადიციული პატივისცემის ნიშნად მიეახლებიან და ხელებზე ემთხვევიან. შემდეგ ლიტანიობა საკურთხევლიდან იწყება.

მსვლელობას წინ მიუძღვიან მებაირაღეები 12 ბაირაღით, მას სტიქაროსნები და მგალობლები მიჰყვებიან. შემდეგ მოსდევს იპოდიაკონი, რომელიც საპატრიარქო ჯვარს მიაბრძანებს და სხვა სასულიერო პირები. პროცესიას თავად უნეტარესი პატრიარქი მიჰყვება. მსვლელობა ჯერ აღდგომის ტაძარს შემოუვლის გალობით, შემდეგ სამგზის კუვუკლიას და ჩერდება მაცხოვრის საფლავის შესასვლელთან.

კუვუკლიაში შესვლის წინ პატრიარქი განიმოსება, განიძარცვავს სადღესასწაულო შესამოსელს და კვართითღა რჩება. უძველესი დროიდან მოყოლებული, პატრიარქს კუვუკლიაში შესვლის წინ გულმოდგინედ ჩხრეკენ, რათა არაფერი შეიტანოს ისეთი, რითაც სანთლის ანთება შეიძლება. მასთან ერთად კუვუკლიაში შესვლა შეუძლია მონოფიზიტ მღვდელმთავარსაც, მაგრამ მას მხოლოდ ანგელოზის ეკვდერში დგომის უფლება აქვს.

ვიდრე კუვუკლიიდან თავად პატრიარქი გამოჩნდება, სანთლის დამტარებელი იპოდიაკვნები, რომლებმაც მიიღეს მადლმოსილი ცეცხლი, ანგელოზის ეკვდერის სარკმლიდან სწრაფად მოატარებენ მას მთელ ტაძარში. მადლი გარდამოედინება, ცეცხლის ზღვა აღდგომის ტაძარს და არემარეს ეფინება.

მაცხოვრის საფლავზე გადმოსული ცეცხლი თბილია, სასიამოვნო და ასევე, მისი ღვთაებრივი ნიშანია, რომ გარდამოსვლიდან 10-15 წუთის მანძილზე ცეცხლი არ წვავს, ამ რამდენიმე წუთის განმავლობაში მორწმუნეები მას თავსა და პირზე იტარებენ, რათა საკუთარ თავზე შეიგრძნონ ეს უდიდესი სასწაული.

მაცხოვრის საფლავზე მადლმოსილი ცეცხლის გარდამოსვლას ესწრება უამრავი ჩვენი თანამემამულე. უკვე რამდენიმე წელია ყოველ აღდგომის დღესასწაულზე წმიდა ცეცხლის ჩამოსატანად იერუსალიმში ჩვენი ქვეყნიდან სპეციალური დელეგაციაც ჩადის, რომელშიც არიან საერო და სასულიერო პირები. აღდგომის ღამეს ღვთიურ ცეცხლს თბილისში მოაბრძანებენ და იგი სააღდგომო ლიტურგიის დროს ყველა ტაძარში ვრცელდება.

ზეციური ცეცხლი და პირველი ცნობები

პირველი ცნობები ზეციული ცეცხლის გარდამოსვლის შესახებ უკვე ადრე შუა საუკუნეებში გვხვდება. V-VI საუკუნიდან ამ მოვლენაზე საუბარია სხვადასხვა წყაროებში, თუმცა მინიშნებების დონეზე. პირველი მკაფიო ისტორიული ცნობა უფლის საფლავზე „ზეციური ნათელის“ შესახებ მემატიანეებთან ჩნდება IX საუკუნიდან.

იერუსალიმში ჩასული ლათინი მომლოცველი ბერი ბერნარდი მოგვითხრობს: “დიდ შაბათს, აღდგომის წინა დღეს, უფალი ჩვენი იესო ქრისტეს საფლავზე დილის ლოცვის ჟამს, იმ დროს, როდესაც წარმოითქმება “კირილეისონ”, ჩამოდის ანგელოზი და ანთებს კანდელს პატრიარქი ცეცხლს გადასცემს ეპისკოპოსს, ხოლო იგი – მრევლს.”

ცნობილი საეკლესიო მოღვაწე, კესარიის მიტროპოლიტი არეფა X საუკუნის დასაწყისში წერდა: “ქრისტიანები დგანან აღდგომის ტაძარში და აღავლენენ უფლის სადიდებელ ლოცვას – უფალო შეგვიწყალე. ამ დროს მოულოდნელად ჩნდება ელვა, რომელიც ანთებს კანდელს, საიდანაც ცეცხლს იღებენ იერუსალიმის მცხოვრებნი.”

IX-XVI საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა წყაროებში 45 უტყუარი ისტორიული მოწმობაა ზეციური ცეცხლის გარდამოსვლისა.

გამონაკლისი იყო მხოლოდ 1001 წელს, როდესაც ის მომდევნო დღეს – აღდგომის კვირას გამოჩნდა და კიდევ ერთი შემთხვევაა, როდესაც ელვამ ტაძრის კარიბჭის სვეტი გახლიჩა და წმინდა ცეცხლი იმ ადგილიდან, სადაც საუკუნეებია, ეს სასწაული ხდებოდა, რამდენიმე მეტრში გადმოვიდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით რამდენიმე ვერსია არსებობს: ერთის მიხედვით, ოსმალო სულთნის ხელშეწყობით სომეხ სასულიერო პირებს მართლმადიდებელი ეპისკოპოსი ტაძარში არ შეუშვიათ და დიდ შაბათს ლოცვა თავად ჩაუტარებიათ, მაგრამ ცეცხლი გარეთ მხოლოდ იმ სვეტზე გადმოსულა, რომელთანაც ბერძენი მართლმადიდებელი ეპისკოპოსი იდგა თავის სამწყოსთან ერთად.

ქრისტეს აღდგომის (აღმოსავლური ტრადიციით), ანუ უფლის საფლავის (დასავლური ტრადიციით) ტაძარი IV საუკუნეში აშენებულა. ქართველი ბერები წმინდა მიწაზე უკვე ამ ეპოქიდან ჩანან. X საუკუნიდან აღდგომის ტაძრის ნაწილი ქართველთა ხელთაა.

1899 წელს ეპისკოპოსმა პეტრე კენჭოშვილმა იმოგზაურა იერუსალიმში და აღწერა – “დღესასწაულობა წმ. ცეცხლის გამოჩენისა.“ ამ მონათხრობით დავინახავთ, რომ თითქმის არაფერი შეცვლილა 115 წლის შემდეგაც. “დიდს შაბათს, დილითგან ადრე, იკრიბებიან წმ. საფლავის ტაძარში მომეტებული ნაწილი მართლმადიდებელთა ქრისტეანეთა ადგილობრივ მცხოვრებთა და ყოველნი მლოცავნი დიდ-შაბათის ცისკრის დაწყების წინად, არაბნი მართლმადიდებელის სარწმუნოებისა შეასრულებენ ძველის დროიდან ნება-დართულის სულთანის ფირმანით ჩვეულებასა სიხარულის გამოცხადებისათვის წმ. ცეცხლის გამოჩენის მიზეზისა გამო:

ხმა-მაღალის გროვით იგინი შემოურბენენ სამგზის გარეშემო კუვუკლიასა, სცემენ ტაშსა და მაღლა ხმით დაღადებენ: „უფალო შეგვიწყალენ“ და „არა არს სხვა სარწმუნოება, გარდა მართლმადიდებელის სარწმუნოებისა“! შესავალი კუვუკლიისა ანუ წმ. საფლავის სამლოცველოსი დაიხშვება და მიიბეჭდება განსაკუთრებითის ბეჭდითა მაჰმადიან მეკარეთაგან წმ. საფლავის ტაძრისათა საფლავსა შესვლის უწინარეს ოსმალნი უშინჯავენ ჯიბეთა და თითქმის წვერსაც, რომ დაფარული არა ჰქონდეს წუმწუმა.

ქრისტეს აღდგომის (აღმოსავლური ტრადიციით), ანუ უფლის საფლავის (დასავლური ტრადიციით) ტაძარი IV საუკუნეში აშენებულა. ქართველი ბერები წმინდა მიწაზე უკვე ამ ეპოქიდან ჩანან. X საუკუნიდან აღდგომის ტაძრის ნაწილი ქართველთა ხელთაა.

ამ დღესასწაულობითს წამს დამშვიდდება ეკლესიაში აღელვება, ყოველივე აღივსება მოლოდებითა და ღრმა დუმილი სუფევს ყოველსა კუთხესა ვრცელის და მრავალ-ეროვნულის მორწმუნეთა კრებისა წმ. ცეცხლი აღმობრწყინდება თვით ქრისტე მაცხოვრის საფლავიდამ, და იქიდამ აღანთებს სანთელთა პატრიარქი. ამ წმ. ცეცხლს მოლურჯო ნათელი აქვს და არცა სწვავს. ზოგნი პირისახეზედაც შემოივლებენ ანთებულს სანთელსა და არა სწვავსო, ვითარცა გადმომცეს იქ დამსწრეთ წმ. ცეცხლის გამოჩენის დროსა. ამ დროს თითოეულს იქ დამსწრეს, დიდსა და პატარას, უნდა ეპყრას ხელთა შინა ოცდა ცამეტი სანთელი, სახსოვრად ქრისტე მაცხოვრის ქვეყნიერად ცხოვრებისა 33 წელთა.”

12 მაისი ანდრია პირველწოდებულის საქართველოში შემოსვლის დღეა!

წმ. ანდრიას, პეტრე მოციქულის ძმას, უფალმა იესო ქრისტემ პირველს მოუწოდა, ამიტომ მას ეწოდა პირველწოდებული. წმიდა ანდრიამ სიყრმიდანვე შეიყვარა უფალი და როცა ისრაელში ქუხილივით გაისმა წმიდა იოანე ნათლისმცემლის ხმა, ნეტარი მოციქული მისი უახლოესი მოწაფე გახდა. მაცხოვრის გამოჩენისას, წმიდა იოანემ ანდრიას და იოანე ღვთისმეტყველს მიმართა: „აჰა, ტარიგი ღმრთისა “. ამ სიტყვებზე ორივენი თან გაჰყვნენ იესოს. შემდეგ კი ანდრია ძმასთან, პეტრესთან მივიდა, მესიის პოვნა ახარა, ისიც იესოსთან მიიყვანა და მას დაუმოწაფა. ქრისტეს დამოწაფებული ძმები კვლავ ჩვეულ საქმიანობას განაგრძობდნენ და თევზაობით ირჩენდნენ თავს. ერთხელ გალილეის ზღვის ნაპირას მიმავალმა მაცხოვარმა მოუწოდა მას: „მოვედით და შემომიდეგით მე და გყვნე თქვენ მესათხევლე კაცთა“. რის შემდეგაც ისინი განუყრელად თან ახლდნენ ძე ღვთისას და მისი სასწაულების, სიკვდილისა და მკვდრეთით აღდგომის მოწმეებიც გახდნენ.

მაცხოვრის ამაღლების შემდეგ, „რაჟამს წილ იგდეს მოციქულთა“ საქადაგებლად, ღვთისმშობელს ივერიის მოქცევა ხვდა წილად, მაგრამ, რადგან მისი მიცვალების ჟამი მოახლოებული იყო, ძე ღვთისამ უბრძანა, იერუსალიმში დარჩენილიყო, საქართველოში კი ანდრია პირველწოდებული გაეგზავნა თავისი ხელთუქმნელი ხატით. ყოვლადწმიდა ქალწულმა მოუწოდა წმიდანს და ღვთის ნება აუწყა, შემდეგ ფიცარი მოითხოვა, „დაიბანა პირი და დაიდვა პირსა ზედა თვისსა“. ფიცარზე ღვთისმშობელი გამოისახა ყრმა იესოთი. ეს სიწმიდე ზეციურმა დედოფალმა ანდრიას გადასცა და დიდ ღვაწლს შემდგარი, აკურთხა. წმიდა ანდრიამ გაიარა საბერძნეთი, მცირე აზია, შემდეგ კი შავიზღვისპირეთს მიაშურა, „შევიდა ქუეყანასა ქართლისასა, რომელსა დიდაჭარა ეწოდების“.

სოფელ დიდაჭარაში დღემდეა შემონახული ტაძრის ნანგრევები, რომელიც, გადმოცემით, თავად წმიდა ანდრია პირველწოდებულს აუშენებია.

ნეტარს მრავალი განსაცდელი დაატყდა თავს ურწმუნოთაგან, მაგრამ ღვთისა და პატიოსანი ხატის მეოხებით ყველაფერი მადლობით დაითმინა, „ვიდრემდის ყოველნივე მოაქცივნა და მოიყვანა სარწმუნოებად“. იმ ადგილას, სადაც მოციქულმა ღვთისმშობლის ხატი დაასვენა, „ფრიად შუენიერი და დიდი“ წყარო აღმოცენდა. ამ სასწაულმა მრავალ წარმართს გაუნათა გონება და შეუდგნენ ქრისტეს მაცხოვნებელ სწავლებას. მოციქულმა ახალმოქცეულთ დაუდგინა მღვდლები და დიაკვნები. „დაუდგინა წესი და საზღვარი სარწმუნოებისა“, აუგო ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძარი, სადაც ფიცარზე ზეციური დედოფლის ნაბოძები ხატიდან სასწაულებრივ გადასული ასლი დააბრძანა. ამის შემდეგ უფლის რჩეულმა გადაიარა ფერსათის მთა და აქ ჯვარი აღმართა (სწორედ ამის გამო ეწოდა ამ მთას „რკინის ჯვარი“). მოციქული შემდეგ სოფელ აწყურში მივიდა, რომელიც ადრე სოსანგეთად იწოდებოდა. ამ დროს ამ მხარის გამგებელი იყო ქვრივი სამძივარი, რომელსაც ერთადერთი ვაჟი ჰყავდა. სწორედ ამ დროს მას შვილი მოჰკვდომოდა. ქვრივს შეატყობინეს, რომ იქ იყო ერთი ადამიანი, რომელიც უცნობ ღმერთზე ლოცულობდა. ამ ცნობამ მას გულში იმედი ჩაუსახა და მოციქული თავისთან იხმო. წმიდა ანდრიამ ქვრივი დედაკაცის ერთადერთი ძე მკვდრეთით აღადგინა. გახარებულმა ქალმა მადლობით ირწმუნა უფალი იესო ქრისტე, თავის შვილთან ერთად მოინათლა და სამცხის მთავრებს წერილი მისწერა, ამ ამბავს ატყობინებდა და ყველას თავისთან იხმობდა. „ვითარცა ესმა მესხთა ამბავი ესე საკვირველი, მსწრაფლ შეკრბეს ყოვლით კერძო და იქმნა სიმრავლე ერისა ფრიადი“. მოვიდნენ საკერპოს მსახურნიც. ხალხი ორად გაიყო; ნაწილი იძახდა, „ჯერ არს თაყუანის-ცემად, რომელმა ესე ვითარი სასწაული აღასრულა“, სხვები კი კვლავ ცრუ ღმერთების ერთგულნი რჩებოდნენ. ცილობა რომ ჩაეცხროთ, გადაწყვიტეს, საკერპოში ღვთისმშობლის ხატი შეებრძანებინათ, შემდეგ კი კარი დაეხშოთ. მაცხოვრის მსასოებლებს - ქრისტეს მიმართ, კერპთმსახურებს კი - თავიანთი ღვთაებისადმი უნდა ელოცათ. დახშულ ტაძართან მცველები დაყენეს. დილით, როცა კარი გაადეს, ყველამ იხილა „კერპები ქუეყანად დათხეულნი და სახედ მტუერისა შემუსრვილნი, ხოლო ხატი ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა ბრწყინვიდა, ვითარცა მზე, დიდებითა და პატივითა“. წმიდა ანდრიამ აწყურში მოაწყო ეკლესია და მცირე ეკვდერში ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი დაასვენა, შემდეგ კი ახალმოქცეულ სამწყსოს განეშორა და გზა განაგრძო: იყო კლარჯეთში, არტაანკოლაში, პართეთში, სომხეთში, შემდეგ კი იერუსალიმში წავიდა.

იერუსალიმთან ანდრია სვიმონ კანანელთან და მატათასთან ერთად ისევ საქართველოში დაბრუნდა. ისინი ქართლში შევიდნენ, განამტკიცეს ქრისტიანობა და „დაჰყვნენ დასავლეთით, განვლეს ტაოს კერძო ქვეყანა ვიდრე ჭოროხამდე“, იყვნენ სამეგრელოსა და სვანეთში. სვიმონი და ანდრია აფხაზეთში წავიდნენ „ხოლო დიდი ანდრეა სვიმონითურთ... შევიდეს ქუეყანასა აფხაზეთისასა და უქადაგეს სიტყუა იგი ღუთის-მეცნიერებისა და მრავალთა სიხარულით შეიწყნარეს ქადაგება იგი და მუნ დაუტევა ნეტარმან ანდრეა სვიმონ კანანელი სხვათა თანა მოწაფეთა და თავად ჯიქეთისა ქუეყანად ავიდა“. ჯიქეთის მკვიდრმა მოსახლეობამ არა მარტო უარი განაცხადა მისი ქადაგების მიღებაზე, არამედ მოციქულის მოკვლაც კი გადაწყვიტა. მათი სიჯიუტე და უხეში გონება რომ დაინახა, მოციქულმა მიატოვა ისინი და წავიდა. წმიდა ანდრია მოციქული სკვითთა ქვეყანაში, დღევანდელ რუსეთშიც ყოფილა. მდინარე დნეპრს აჰყოლია იმ ადგილამდე, სადაც ამჟამად ქალაქი კიევი მდებარეობს.

შევთხოვოთ ჩვენს შემწესა და მფარველს წმიდა ანდრიას:

წმიდაო მოციქულო, მოციქულთა უპირატეს წოდებულო ანდრია, ევედრე ღმერთსა ჩვენთვის, რათა სოფელსა მშვიდობა მოანიჭოს და სულთა ჩვენთა დიდი წყალობა!

ქრისტიანის მზადება სააღდგომოდ

***წითელ** პარასკევს მზის ჩასვლამდე, წითლად იღებება სააღდგომო კვერცხები. კვერცხი ქრისტიანული ტრადიციით ზოგადად სიცოცხლის სიმბოლოა, წითლად შეღებვა კი იმისა, რომ ჯვარცმული მაცხოვრის სისხლით გამოსყიდულ კაცობრიობას მარადიული სიცოცხლე მიენიჭა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სააღდგომო კვერცხი აუცილებლად წითელი უნდა იყოს, ნებისმიერ სხვა ფრად შეღებილ კვერცხს ქრისტიანულ ტრადიციასთან არაფერი აქვს საერთო.*

წითელი კვერცხი

წმიდა მარიამ მაგდალინელმა იმპერატორ ტიბერიუსს კვერცხი მიართვა და აღდგომა ახარა. წარმართმა ტიბერიუსმა მიუგო: მაგ კვერცხის გაწითლებას უფრო დავიჯერებ, ვიდრე მიცვალებულის აღდგომასო. ამის თქმაზე კვერცხი გაწითლდა. ნიშნად ასეთი დიდი სასწაულისა, ქრისტიანებში ტრადიციად იქცა სააღდგომოდ კვერცხის წითლად შეღებვა.

კვერცხებს წითელ პარასკევს ღებავენ იმის მოსაგონებლად, რომ ამ დღეს ჯვარს აცვეს უფალი ჩვენი იესო ქრისტე.

წითელი კვერცხი - აღდგომისა და სიცოცხლის სიმბოლოა, მისგან ხომ წიწილები და ბარტყები იჩეკება. წითელი ფერი კი იესო ქრისტეს წმიდა სისხლის ფერია. აღდგომის კვერცხი ნიშანია ქრისტეს წმიდა სისხლით გაწმედილი ჩვენი მარადიული ცხოვრებისა

ჯეჯილი

ბზობის კვირას მორწმუნეების ძველი ქრისტიანული ჩვეულების მიხედვით, ხორბალს თესენ. ამისთვის, ლანგარზე დებენ წყალში დასველებულ ბამბას და მასზე მუჭით მცირეოდენ ხორბალს მიმოფანტავენ. ხორბალი ღვივდება და იზრდება ჯეჯილი.

ძველი ქრისტიანული წესის თანახმად, მორწმუნეები აღდგომის დღესასწაულს ერთმანეთს პასკითა და ჯეჯილში ჩადებული წითელი კვერცხებით ულოცავენ.

მწვანე ჯეჯილი სიმბოლოა ახალი ცხოვრებისა, რომელიც ჩვენ იესო ქრისტემ მოგვანიჭა თავისი აღდგომით.

პასკა

რა სიმბოლური დატვირთვა აქვს სააღდგომო პასკას?

– ებრაული პასექის დღესასწაულზე ხმიადებს, უსაფუარო პურებს აცხობდნენ. ეს ხმიადები იყო საიდუმლო სერობაზეც. გარკვეული განსხვავება დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიებში, ჯერ კიდევ განხეთქილებამდე, ის იყო, რომ დასავლეთში უსაფუარო კვერის გამოყენების ტრადიცია შეინარჩუნეს (ებრაელებს აკრძალული ჰქონდათ მისი საფუარით მომზადება), აღმოსავლეთში კი გაფუებული კვერის გამოყენების ტრადიცია შემოვიდა. ის ეფუძნება მაცხოვრის მიერ მოყოლილ იგავს სასუფევლის შესახებ: სასუფეველი ჰგავს საფუარიან ცომს, რომლის მცირე ნაწილი ცომს აფუებს.

სპორტი

თავისუფალი ჭიდაობა

საქართველოს პირველობაზე

ძ. ქუთაისში გამართულ თავისუფალი სტილით მოჭიდავე 20 წლამდელთა შორის საქართველოს პირველობაზე ჩემპიონი გახდა აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ თავისუფალი ჭიდაობის სექციის სპორტსმენი **თორნიკე ასაბაშვილი** (-61კგ).

ძიუდო

თელავის ევროპის თასი

27-28 აპრილს ქ.თელავში ჩატარდა თელავის ევროპის თასი 2007-2008 წლებში დაბადებულ ძიუდოისტებს შორის, სადაც თავი ისახელეს საგარეჯოელებმა

ნინო საფარაშვილი - III ადგილი (-44კგ)
ლუკა დარისპანაშვილი - III ადგილი(-55კგ)
ვახო ჭიაბერაშვილი - III ადგილი (-60კგ)

საპრიზო ადგილი დაიკავეს

მეორე სარეიტინგო ტურნირი ძიუდოში, 2012-2013 წლებში დაბადებულ ძიუდოისტებს შორის

შეჯიბრი ჩატარდა ნევაზაში (ქვეჭიდში), რომელიც ნაწილია ახალი პროექტის - "მილიონი ლარი პირად მწვრთნელებს", სადაც წარმატებით იასპარეზეს აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანების“ ძიუდოისტებმა და დაიკავეს შემდეგი საპრიზო ადგილები:

-30 კგ – მეორე ადგილი – გაბრიელ კოხტაშვილი
-34 კგ – მესამე ადგილი – ლუკა კურდღელაშვილი

ევროპის ჩემპიონატზე სამბოში

დასრულდა ევროპის ჩემპიონატი სამბოში, სერბეთის ქალაქ ნოვი-სადში, სადაც საქართველოს ნაკრების ღირსებას იცავდა ორი საგარეჯოელი მოჭიდავე.

ახალგაზრდებს შორის ყველა შეხვედრა ბრწყინვალე გამარჯვებით დაასრულა და *ჩემპიონობა* იზეიმა ***შაკო გულისაშვილმა*** ხოლო ჭაბუკთა შორის მეორე ადგილი დაიკავა ***ოთარ ოდიკაძემ***.

რაგბი

„ვეფხვები“ იტალიაში

უმცროსმა "ვეფხვევმა" იტალიაში, ქალაქ მონცაში გამართულ საერთაშორისო ფესტივალში მიიღეს მონაწილეობა, სადაც 3 ასაკობრივი გუნდით იასპარეზეს

რვაწლამდე "ვეფხვებმა" წაუგებლად ითამაშეს და ყველა მეტოქე დიდი სხვაობით დაამარცხეს

ათწლამდელთა და თორმეტწლამდელთა გუნდებმა 4-4 გამარჯვება გაიფორმეს, მხოლოდ 1 დათმეს და მშობლიურ კლუბს დაარსების დღე

საოცარი თამაშით მიულოცეს

ჩვენი უმცროსი მორაგბეებისთვის ეს გახლდათ პირველი საერთაშორისო გამოცდილება. გარდა გამარჯვებების საოცარი სიხარულისა, საშუალება მოგვეცა გავცნობოდით ადგილობრივ სარაგბო კულტურასა და სხვადასხვა ევროპული სარაგბო სკოლების წარმომადგენლებს უამრავი მეგობარი შევიძინეთ და საქართველო სამუდამოდ დავამახსოვრეთ

P.S. უმცროსი „ვეფხვების“ იტალიაში მოპოვებულ წარმატებაზე ჩვენი გაზეთის მომავალ ნომერში გესაუბრებით.

ფეხბურთი

„გარეჯი“ ლიდერებს მიუახლოვდა

როგორც უკვე ვიუწყებოდით, წლევანდელი სეზონი „გარეჯი–1960“–მა მძიმედ დაიწყო, სამი შეხვედრის შემდეგ მხოლოდ 1 ქულა ჰქონდა და აუტსაიდერთა შორის იმყოფებოდა.

ამას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა, მაგრამ, მთავარი მაინც გუნდიდან გასულის წლის წამყვანი მოთამაშეების წასვლა იყო. მართალია, მოვიდნენ ახალი სახეები, მაგრამ გუნდთან ადაპტირებას და შეთამაშებას გარკვეული დრო სჭირდებოდა. ალბათ ამიტომაც იყო, რომ პირველი მოგება მხოლოდ მეოთხე ტურში მოახერხეს გარეჯელებმა და ისიც იმ დროისათვის სატურნირო ცხრილის ლიდერ თბილისის „დინამო–2“–თან. გარეჯელთაგან პირველი ულამაზესი გოლი ალეკო ჩაკვეტაძის პასით **ლევან პაპავამ** გაიტანა. დინამოელთა მრავალი მცდელობის მიუხედავად სტუმრებმა ვერ შეძლეს ანგარიშის გათანაბრება. პირიქით, დამატებით წუთებში კიდევ ორი გოლი გაუშვეს (**გიორგი გოგიბერიშვილი, ვალერი ოლხოვი**) და გარეჯელებმა ამ სეზონში პირველად, ისიც დიდი ანგარიშით, გაიმარჯვეს.

მეხუთე ტურში „გარეჯი“ უკვე სტუმრად დებიუტანტ, მაგრამ იმ დროისათვის ლიდერებში მყოფ სართიჭალის „შტურმს“ შეხვდნენ და თუმცა ანგარიში გახსნეს, ვერ შეძლეს კარის მშრალად შენახვა, გაუშვეს გოლი და ფრეს დასჯერდნენ.

შემდეგ ტურში ჩვენი გუნდი შინ ეთამაშა უმაღლესი ლიგის საგზურის ერთ–ერთ რეალურ კანდიდატს ბოლნისის „სიონს“ და დაძაბულ ბრძოლაში 3:4 დამარცხდა.

სამაგიეროდ, მეშვიდე ტურში შეძლეს გარეკახელებმა სტუმრად „რუსთავის“ დამარცხება. აღსანიშნავია, რომ წერილის დაწერის მომენტისთვის, სწორედ „რუსთავია“ გათამაშების ცხრილის სათავეში. ანგარიში ისევ **პაპავამ** გახსნა, მართალია, რუსთაველებმა ანგარიში გაათანაბრეს და შემდეგ წინაც გავიდნენ, მაგრამ დამატებულ დროში გარეჯელებმა კიდევ ორი გოლი გაიტანეს ***(შალვა ექვთიმიშვილი, ლაშა უგრეხელიძე)*** და კიდევ სამი ქულა ჩაიწერეს თავის ანგარიშში.

მერვე და მეცხრე ტურებში გარეჯელებმა ჯერ შინ მოუგეს ხობის „კოლხეთს“ 2:1, შემდეგ კი დამარცხდნენ გასვლაზე თბილისის „ლოკომოტივთან“

საინტერესო იყო მეათე ტურის მატჩი დუშეთის „არაგვთან“. მატჩი სართიჭალის სტადიონზე გაიმართა. სეზონი „გარეჯი–1960“–სათვის ეს მატჩი მნიშვნელოვანი იმით იყო, რომ პირველ ტურში სწორედ „არაგვთან“ დამარცხდნენ და ახლა რევანში ჰქონდათ ასაღები. ასეც მოხდა – გარეჯელებმა მეტოქეს 5 გოლი გაუტანეს და თუმცა 3 თვითონაც გაუშვეს, მატჩი დამაჯერებლად მოიგეს. თამაში სანახაობრივადაც საინტერესო გამოდგა. ანგარიში სტუმრებმა უკვე მე–7 წუთზე გახსნეს – **ირაკლი ლექვთაძის** პასით გოლი **თორნიკე ძებნიაურმა** გაიტანა. მართალია, დუშეთელებმა ანგარიში 23–ე წუთზე გაათანაბრეს, მაგრამ პირველი ტაიმის მიწურულს **ლაშა გოგიბედაშვილმა** ისევ წინ გაიყვანა გარეჯელები 2:1.

მეორე ტაიმის დასაწყისში „არაგვმა“ კიდევ ერთხელ გაათანაბრა ანგარიში. ამას მოჰყვა კიდევ „გარეჯის“ გოლი, რომლის გაქვითვა დუშელებმა ისევ მოახერხეს მატჩის 79–ე წუთზე. თუმცა „გარეჯმა“ მაინც თავისი გაიტანა. 89–ე წუთზე ჯერ **მიშიკო სარდალაშვილმა** გაიტანა გამარჯვების გოლი, დამატებით დროში კი მისივე პასით **გიორგი ბუხაიძემ** დააფიქსირა საბოლოო ანგარიში 5:3.

გუნდმა შემდეგი შემადგენლობით ითამაშა: ***დავით კუპატაძე, ბაჩანა მოსაშვილი, ლაშა უგრეხელიძე, .მიშიკო სარდალიშვილი, ალიკო ჩაკვეტაძე, კახაბერ კაკაშვილი (შალვა ექვთიმიშვილი), ვალერი ოლხოვი, ბადრი გოგობერიშვილი (ბაქარ მირცხულავა),თორნიკე ძებნიაური (გიორგი ვეკუა), ირაკლი ლექვთაძე (ნიკოლოზ გალახვარიძე), ლევან პაპავა (გიორგი ბუხაიძე).***

შეგახსენებთ, რომ „გარეჯი–1960“–ის გუნდის უფროსი **ლაზარე დათუნაშვილია,** ხოლო მთავარი მწვრთნელი ამ მატჩის ჩათვლით – ***ნესტორ მუმლაძე*** იყო. შემდეგ მატჩში კი „სპაერთან“ გასვლაზე გუნდის მთავარ მწვრთნელად ცნობილი სპეციალისტი **თენგიზ კობიაშვილი** დაბრუნდა, რომელიც ამ ორი წლის წინ უკვე წვრთნიდა „გარეჯს“ და დებიუტი მოგებით აღნიშნა – 2:1. გარეჯელთაგან გოლები ლევან პაპავამ გაიტანა.

ბოლო ორი მატჩი „გარეჯი-1960“-ს უშუალო კონკურენთებთან „ვიტ-ჯორჯიასა“ და „დინამო-2“-თან ჰქონდა,რომლებიც ასევე აცხადებენ პრეტენზიას უმაღლეს ლიგაში გადასვლაზე და ორივე მატჩი ფრედ – ერთნაირი ანგარიშით 1:1 დასრულდა. პირველ მატჩში თავის ისევ **ლევან პაპავამ** გამოიჩინა, მეორეში კი თავი **პაპუნა ფონიავამ** გამოიჩინა

ზურაბ აგულაშვილი

გზა დაულოცეს...
„ბოლო ზარი“ დაირეკა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში მეთორმეტე კლასელებისთვის „ბოლო ზარი“ დაირეკა. კურსდამთავრებულებმა სკოლის დასრულება საზეიმო ვითარებაში აღნიშნეს და სკოლაში გატარებული წლები ხალისიანად გაიხსენეს. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი **ავთანდილ გულიკაშვილი** საკრებულოს თავჯდომარე - **ალეძსი გილაშვილთან**, ბიუროს ხელმძღვანელთან **გია თათრიშვილთან** და საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელ - ლელა ფანოზიშვილთან ერთად, სოფელ კოჭბანის, ქალაქ საგარეჯოს №1, №2 და №4, საჯარო სკოლებს ესტუმრა, მეთორმეტე კლასელებს სკოლის დამთავრება მიულოცა და წარმატებები უსურვა. ***„გილოცავთ თქვენი ცხოვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას – სკოლის დასრულებას. პედაგოგებმა წლების მანძილზე ბევრი იღვაწეს იმისათვის, რომ თქვენთვის სათანადო ცოდნა მოეცათ და არა მარტო ცოდნა, ბევრი ენერგია დახარჯეს, რომ ესწავლებინათ შემდგომ დამოუკიდებლად ცხოვრების სიძნელეების გამკლავება. თქვენს ცხოვრებაში სრულიად ახალი ეტაპი იწყება – ახალი გამოცდილებით, ურთიერთობებით, მეგობრებით, ცოდნისა და განვითარების ახალი პერსპექტივებით, მეტი უფლებითა და ამავდროულად, პასუხისმგებლობით საკუთარი მომავლისა და ქვეყნის წინაშე. წარმატებებს გისურვებთ ამ მნიშვნელოვან გზაზე.“*** – განაცხადა **ავთანდილ გულიკაშვილმა.**

სპორტი

მკლავჭიდი
7 ოქრო, 3 ვერცხლი და 2 ბრინჯაო ბრატისლავიდან

2-12 მაისს სლოვაკეთის ქალაქ ბრატისლავაში ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი მკლავჭიდში სადაც ჩვენი კლუბის სპორტსმენებმა მოიპოვეს 12 საპრიზო მედალი 7 ოქრო, 3 ვერცხლი და 2 ბრინჯაო.

ალეკო კვლიშვილი 50კგ მარცხენა, I ადგ;
ალეკო კვლიშვილი 50კგ მარჯვენა, II;
ოთარი საგინაშვილი 65კგ, მარჯვენა, I;
გიორგი ღვინაშვილი 75კგ მარცხენა I;
გიორგი დიდმელაშვილი 75კგ მარცხენა I;
გიორგი ღვინაშვილი 75კგ მარჯვენა II;
გიორგი დიდმელაშვილი 75კგ მარჯვენა III;
ბაჩო დიდმელაშვილი 80კგ მარცხენა I;
ბაჩო დიდმელაშვილი 80კგ მარჯვენა I;
გიორგი როსტომაშვილი +110კგ მარჯვენა II;
მერაბი ალუდიშვილი +65კგ მარცხენა I;
მერაბი ალუდიშვილი +65კგ მარჯვენაI;

ტანვარჯიში
პირველად საგარეჯოში

დასრულდა საგარეჯოს ნელი სალაძის მხატვრული ტანვარჯიშის რესპუბლიკური ტურნირი, სადაც მონაწილეობას იღებდა საქართველოს 100-ზე მეტი ტანმოვარჯიშე.

საგარეჯოს რაიონში ასეთი ტურნირი პირველად ჩატარდა. ტურნირის მონაწილეები გვესტუმრნენ: ბათუმიდან, ქუთაისიდან, ზუგდიდიდან,თბილისიდან, რუსთავიდან და თელავიდან. სტუმრებს შორის საპატიო ადგილი ეკავა ქალბატონ ნელი სალაძეს.

ა(ა)იპ „საგარეჯოს სპორტული გაერთიანების“ ტანმოვარჯიშეებს საკმაოდ წარმატებული გამოსვლა ჰქონდათ როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური ნომრებით, მიუხედავად იმისა, რომ ტანვარჯიშის წრე სულ რაღაც ორი წელია რაც ფუნქციონირებს.

შეჯიბრში საპრიზო ადგილები დაიკავეს შემდეგმა მონაწილეებმა:

ქეთევან კურდღელაშვილი, ნანიტა გრატიაშვილი, ლიზი მეკოკიშვილი, თეკლა ყორღანაშვილი, მარიამ ელიზარაშვილი, ბარბარე გიქორაშვილი, ელენე ბორაშვილი, მარიამ წიკლაური, თამუნა ბეჟიაშვილი, ნინი ასრათაშვილი, დალი კურდღელაშვილი, ნინო დავითაშვილი.

აღნიშნული ტურნირის მოწყობის იდეა ეკუთვნის ა(ა)იპ „საგარეჯოს სპორტული გაერთიანების“ მხატვრული ტანვარჯიშის სექციის მწვრთნელს **მედეა ვეძუას,** რომელმაც ორი წელი თავდაუზოგავად იშრომა გარეჯელ პატარა ტანმოვარჯიშეებთან ერთად და საგარეჯოს არსენ მეკოკიშვილის სახელობის სპორტდარბაზში მოსულ მაყურებელს და მონაწილეს საინტერესო და ლამაზი სანახაობა დახვდა.

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 23184601;
საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნე“-ში
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა შპს „კოლორ პრესს“-ში.
ტელეფონი: 599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com